სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-09

გორი 20 03 2018წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 15 მარტის N04 გადაწყვეტილების, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის (20.03.2018. N305627) და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (16.03.2018. N299392) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლის გაზაფხულის პროფესიული ტესტირების გზით მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი დანართი N1-ის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ დადგენილების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

#	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული განათლების საფეხური	სწავლების ენა	კრედიტების რაოდენობა	პროგრამის ხანგრძლივობა (თვე)	ადგილების რაოდენობა	პროფესიული პროგრამის ღირებულება	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	დამატებითი ინფორმაცია
1.	ბიბლიოთეკარი	IV	ქართული	94	17	10	1,205	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	პირველადი საფეხური (მოდულური პროგრამა)
2.	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	IV	ქართული	82	15	20	1,070	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	პირველადი საფეხური (მოდულური პროგრამა)
3.	სარეკლამო აგენტი	IV	ქართული	95	17	10	1,343	სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	პირველადი საფეხური (მოდულური პროგრამა)
4.	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	V	ქართული	121	22	16	1,666	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	პირველადი საფეხური (მოდულური პროგრამა)
5.	ვებპროგრამისტი	V	ქართული	115	21	16	1,467	ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	პირველადი საფეხური (მოდულური პროგრამა)